

საქართველოს კანონი

ნოტარიატის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიატის მოწყობისა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითად მოთხოვნებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ნოტარიატი

1. ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.

2. ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (შემდგომში – იუსტიციის სამინისტრო).

მუხლი 2. ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქტები.

მუხლი 3. ნოტარიუსი

1. ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია.

3. სანოტარო მოქმედება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში. ნოტარიუსის საქმიანობა არ არის მეწარმეობა და მოგების მიღების წყარო.

4. ანაზღაურება, რომელსაც ნოტარიუსს უხდიან მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის, ეკუთვნის ნოტარიუსს.

5. ნოტარიუსი არის სამუშაოს მიმცემი თავისი ბიუროს თანამშრომლებისათვის.

6. ნოტარიუსი პასუხს აგებს თავის სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

7. ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომში – იუსტიციის მინისტრი).

8. ნოტარიუსი ვალდებულია შეასრულოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოვალეობანი.

მუხლი 4. ნოტარიუსთა პალატა და ნოტარიუსთა სხვა გაერთიანებები

1. ნოტარიუსთა პალატა არის თვითმმართველობის პრინციპზე აგებული ნოტარიუსების გაერთიანება და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას. ნოტარიუსები ნებაყოფლობით საწყისებზე შეიძლება იყვნენ ნოტარიუსთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში.

2. ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს და იცავს ნოტარიუსთა ინტერესებს, უწევს მათ დახმარებას სანოტარო საქმიანობაში, ორგანიზაციას უკეთებს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას, ზრუნავს ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

3. ნოტარიუსთა პალატა უზრუნველყოფს ნოტარიუსების ჩაბმას ნოტარიატის ფუნქციონირების პრობლემების გადაწყვეტასა და ნოტარიუსების საერთო პროფესიული ინტერესების განხორციელებაში.

4. ნოტარიუსთა პალატის უმაღლესი ორგანოა ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება, ხოლო აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო - ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

5. ნოტარიუსთა პალატა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მუხლი 5. სანოტარო მოქმედება

1. სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის შუამდგომლობით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტებს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა.

2. სანოტარო მოქმედების შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სანოტარო მოქმედების ენა

1. სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო ენაზე.

2. თუ პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თარჯიმნის მონაწილეობით.

მუხლი 7. სანოტარო მოქმედების შესრულებისას წარმოშობილი დავა

სამართლებრივი დავა, რომელიც წარმოიშობა პირებს შორის სანოტარო მოქმედების შესრულებისას, განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 8. სანოტარო მოქმედების საიდუმლოება

1. ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მოვალეობა ძალაში რჩება ნოტარიუსის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც.

2. ნოტარიუსი ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ აძლევს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს. საგამოძიებო ორგანოების, ადვოკატის ან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც გამოძიების ორგანოების ან სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი მოვალეა, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც გადავიდა პირის საკუთრებაში. ადვოკატს, საგადასახადო ორგანოს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში.

3. ნოტარიუსს შეუძლია გაამხილოს მოანდერძის ცნობა ანდერძის არსებობის ან შინაარსის შესახებ მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

4. პირს, რომლის დავალებით შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის უფლებამონაცვლეს, ან წარმომადგენელს შეუძლია გაათავისუფლოს ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თუ პირი გარდაიცვალა და მას უფლებამონაცვლეები არ ჰყავს ან მათთან დაკავშირება შეუძლებელია, ნოტარიუსი საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. სასამართლოს შეუძლია ნოტარიუსი გაათავისუფლოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან. აგრეთვე სხვა საპატიო მიზეზების გამო.

5. ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგებების თაობაზე აწვდის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აღნიშნული კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ნოტარიუსის უფლება სახელმწიფო გერბის გამოსახულების გამოყენებაზე

1. ნოტარიუსს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ბეჭედზე აღნიშნულია ნოტარიუსის სახელი და გვარი.

2. ნოტარიუსს უფლება აქვს ფირნიშებსა და ბლანკებზე გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულება.

მუხლი 10. ზედამხედველობა ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე

1. იუსტიციის მინისტრი ახორციელებს ზედამხედველობის ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე და თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით აკონტროლებს სანოტარო მოქმედებისათვის საზღაურის გადახდევინების სისწორეს;

ბ) მოითხოვს ნოტარიუსისაგან ზედამხედველობის განხორციელებისათვის აუცილებელ ინფორმაციას და მასალებს;

გ) შეაქვს შესწორებები ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებებში, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) ახდენს ზედამხედველობის უფლებამოსილების დელეგირებას ნოტარიუსთა პალატისადმი ნოტარიუსების სამსახურებრივი საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე.

2. იუსტიციის მინისტრის ან ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც ზედამხედველობის მასალებს ემყარება, ნოტარიუსს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

3. იუსტიციის სამინისტრო „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ახორციელებს ნოტარიუსებზე ზედამხედველობას აღნიშნული კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

თავი II

სანოტარო სამსახური

მუხლი 11. ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები

1. ნოტარიუსის თანამდებობა ამ კანონით დადგენილი წესით შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მიღებული აქვს სანოტარო საქმიანობის ლიცენზია.

2. პირი გათავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში.

3. ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი უთანაბრდება საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს. იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე ნოტარიუსს გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა არა უმეტეს 5 წლით.

მუხლი 12. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა

1. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა (ტესტირება) მოიცავს ორ ეტაპს – პროფესიულ ნაწილს და ზოგად უნარ-ჩვევებს (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი).

2. პირი ვათავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროფესიული ნაწილის ჩაბარების ვალდებულებისაგან, თუ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით.

3. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

4. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებით, რომელსაც შეიმუშავენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

5. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. პირი ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის იხდის საფასურს 300 ლარის ოდენობით.

6. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან 2 წლის განმავლობაში არ შეუდგება სანოტარო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად პირი ვალდებულია ხელახლა ჩააბაროს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღოს სანოტარო საქმიანობის ლიცენზია.

მუხლი 13. სანოტარო საქმიანობის ლიცენზია

1. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს იუსტიციის სამინისტრო. სანოტარო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა უვადოდ.

2. სანოტარო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. პირი ლიცენზიის მიღებისათვის იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოდენობით.

3. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად პირი, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე;

ბ) გავლილი ჰქონდეს სტაჟირება ან ჰქონდეს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

გ) ჩაბარებული ჰქონდეს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა;

დ) ჰქონდეს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით“ დადგენილი წესის შესაბამისად აღჭურვილი სანოტარო ბიურო.

მუხლი 14. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

სანოტარო საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა იმ პირზე:

ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) რომელიც ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ან რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე;

გ) რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე შეწყდა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო;

დ) რომელიც გათავისუფლებულია საჯარო სამსახურიდან ან/და რომელსაც შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა დისციპლინური გადაცდომის, კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევის, თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენების ან კორუფციული სამართალდარღვევის გამო;

ე) რომელიც შესაბამისი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო გათავისუფლდა ნოტარიუსის თანამდებობიდან ან რომელსაც ამავე საფუძველით იუსტიციის სამინისტრომ გაუუქმა სანოტარო საქმიანობის ლიცენზია;

ვ) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნებს;

ზ) რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამოერთვა სანოტარო საქმიანობის უფლება.“.

მუხლი 15. განცხადება სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

1. პირი სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

2. განცხადებას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტებისა, უნდა დაერთოს:

ა) ამ კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობას;

გ) ცნობა სანოტარო ბიუროს იურიდიული მისამართის შესახებ.

3. სანოტარო ბიუროს იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს და წარუდგინოს მას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი.

მუხლი 16. ნოტარიუსის რეგისტრაცია ნოტარიუსთა რეესტრში და მის მიერ სანოტარო საქმიანობის დაწყება

1. იუსტიციის სამინისტროს მიერ სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან ლიცენზიის მფლობელი იუსტიციის სამინისტროს წარუდგენს:

- ა) სამსახურებრივ ბეჭედს და კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ ხელმოწერის ნიმუშს;
- ბ) სავალდებულო პროფესიული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- გ) დოკუმენტს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით“ დადგენილი წესის შესაბამისად აღჭურვილი სანოტარო ბიუროს მფლობელობის/საკუთრების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ იუსტიციის სამინისტრო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ახორციელებს ნოტარიუსის რეგისტრაციას ნოტარიუსთა რეესტრში.

3. იუსტიციის სამინისტროს მიერ ნოტარიუსთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ნოტარიუსთა პალატისათვის მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ნოტარიუსი მოიპოვებს ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის უფლებას, რის შემდეგაც უფლებამოსილია განახორციელოს სანოტარო საქმიანობა.

4. ნოტარიუსთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ნოტარიუსთა რეესტრს აქვს ოფიციალური ძალა.

მუხლი 17. სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერება

1. ნოტარიუსს სანოტარო საქმიანობის უფლება უჩერდება, თუ:

ა) დაარღვია ამ კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობა. ნოტარიუსმა გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, უნდა უზრუნველყოს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სალიცენზიო მოთხოვნასთან შესაბამისობა;

ბ) ჩაიდინა ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული გადაცდომა, რომელიც იწვევს მისთვის სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერებას;

გ) ნოტარიუსის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში – სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. პროცესის მწარმოებელი ორგანო ნოტარიუსის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, აცნობოს ამის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს.

4. ნოტარიუსისათვის სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერების თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი იუსტიციის სამინისტროს შეაქვს ნოტარიუსთა რეესტრში. თუ აღმოიფხვრა ნოტარიუსისათვის სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერების საფუძვლები, იუსტიციის სამინისტრო აუქმებს შესაბამის ჩანაწერს, რის შემდეგაც ნოტარიუსი უფლებამოსილია გააგრძელოს სანოტარო საქმიანობა.

მუხლი 18. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

1. ნოტარიუსს უფლებამოსილება უწყდება სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში.

2. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლებისა, არის:

ა) ნოტარიუსის წერილობითი განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რომელიც წარედგინება იუსტიციის სამინისტროს;

ბ) საპენსიო ასაკის მიღწევა;

გ) ნოტარიუსის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან შეზღუდულ ქმედუნარიანად/ქმედუნაროდ აღიარება;

დ) ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენა, რაც იწვევს სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებას;

ე) ნოტარიუსის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც გამორიცხავს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვან შესრულებას;

ვ) ნოტარიუსის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო;

ზ) ნოტარიუსისათვის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

თ) ნოტარიუსისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სანოტარო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

ი) ნოტარიუსისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

კ) ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა.

2. ნოტარიუსი, რომელსაც გაუუქმდა სანოტარო საქმიანობის ლიცენზია, უნდა ამოირიცხოს საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრიდან.

3. ნოტარიუსისათვის სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერების ან სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის სამინისტრო.

4. იმ ნოტარიუსის დოკუმენტაცია, რომელსაც შეუჩერდა სანოტარო საქმიანობის უფლება ან გაუუქმდა სანოტარო საქმიანობის ლიცენზია, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით უნდა გადაეცეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

5. ნოტარიუსს, რომელსაც შეუჩერდა სანოტარო საქმიანობის უფლება ან გაუუქმდა სანოტარო საქმიანობის ლიცენზია, უფლება აქვს გაასაჩივროს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი გადაცემულია უშუალოდ ნოტარიუსისათვის ან დაზღვეული წერილით გაგზავნილია ნოტარიუსის რეგისტრაციის ადგილზე. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 19. სანოტარო ბიურო

1. ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს სანოტარო ბიურო, რომელიც მისი სამუშაო ადგილია. სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობას ირჩევს ნოტარიუსი. მას უფლება აქვს სამუშაოზე აიყვანოს და გაათავისუფლოს პირები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს ჩატარებული სანოტარო მოქმედებისათვის მიღებული შემოსავალი.

2. ორ ან მეტ ნოტარიუსს შეიძლება ჰქონდეთ საერთო ბიურო. ნოტარიუსთა უფლებები და მოვალეობები საერთო ბიუროს მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. საერთო ბიუროში თითოეული ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის.

მუხლი 20. ნოტარიუსის საქმიანობის სამსახურებრივი შეზღუდვები

1. ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობასთან ერთად არ შეიძლება იმსახუროს სხვა საშტატო თანამდებობაზე და შეასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობისა.

2. ნოტარიუსს აქვს თავისი პირადი კაპიტალის ინვესტირების უფლება.

3. ნოტარიუსს და მისი ბიუროს თანამშრომლებს ეკრძალებათ გარიგების დადებისას იყვნენ მხარეთა შუამავლები.

მუხლი 21. ნოტარიუსის შრომის ანაზღაურება და სანოტარო ბიუროს ფინანსები

1. ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულება, აგრეთვე ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაცია და ტექნიკური მომსახურების გაწევა ფასიანია. ნოტარიუსისათვის განკუთვნილი საზღაურის ოდენობა და გადახდევინების წესი განისაზღვრება კანონით.

2. ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურებრივი საქმიანობისაგან შეადგენს თანხა, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადების და ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადასახადის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე შეიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შენატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მუხლი 22. ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა

ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ.

მუხლი 23. ნოტარიუსის პროფესიული დაზღვევა

1. ამ კანონის 22-ე მუხლში მითითებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

2. ნოტარიუსის პროფესიული დაზღვევის არსებით პირობებსა და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

3. ნოტარიუსთა პალატას შეუძლია დადოს დამატებითი დაზღვევის ხელშეკრულება მისი წევრების მიერ მიყენებული იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც ამ კანონის 22-ე მუხლშია მითითებული.

4. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ნოტარიუსის შემცველ პირებზეც.

მუხლი 24. ნოტარიუსის შენაცვლება

1. ნოტარიუსი უფლებამოსილია სამუშაოზე არყოფნის დროისათვის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით, დანიშნოს შემცველი პირი, რომელიც ნოტარიუსს შეენაცვლება არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

2. ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედებათა შესრულება იმ პერიოდში, როცა სამსახურებრივ საქმიანობას მისი შემცველი პირი ასრულებს.

3. ნოტარიუსი ვალდებულია შემცველ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის ასლი წარედგინება საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. ნოტარიუსი მოვალეა ნოტარიუსის შემცველი პირის დანიშვნის თაობაზე მიღებული დადგენილება შეიტანოს დადგენილებათა რეესტრში.

4. ნოტარიუსის შემცველად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

5. ნოტარიუსის შემცველი პირი თავის სამსახურებრივ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით.

6. ნოტარიუსის შემცველი პირი სამსახურებრივ უფლებებს და მოვალეობებს იძენს მისი შემცველად დანიშვნის დღიდან და ეს უფლებები და მოვალეობები წყდება მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლებისას.

მუხლი 25. ნოტარიუსის შემცველი პირის შრომის ანაზღაურება

ნოტარიუსის შემცველი პირი ანაზღაურებას იღებს იმ ნოტარიუსისაგან, რომელსაც იგი ცვლის. ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ნოტარიუსი, ხოლო ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას – ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 26. ნოტარიუსის შემცველი პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა

1. პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის შემცველი პირის უკანონო სამსახურებრივმა ქმედებამ, ეკისრება ნოტარიუსს.

2. ნოტარიუსს აქვს ნოტარიუსის შემცველი პირისაგან უკუმოთხოვნის უფლება გადახდილი კომპენსაციის ოდენობით.

მუხლი 27. ნოტარიუსობის კანდიდატი

1. ნოტარიუსობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ცნობილი არ არის მისი ნოტარიუსად მუშაობისათვის შეუფერებლობის დამადასტურებელი ფაქტი.

2. პირს, რომელსაც სურვილი აქვს გახდეს ნოტარიუსობის კანდიდატი (თუ მას არ აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი), გაივლის სტაჟიორთა კონკურსს. კონკურსის წარმატებით გაგლის შემთხვევაში პირს სტაჟირებისათვის გზავნის ნოტარიუსთა პალატა, რის თაობაზეც ინფორმაციას აწვდის იუსტიციის სამინისტროს. ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსობის კანდიდატს სწავლებისათვის მიამაგრებს კონკრეტულ ნოტარიუსს.

3. სტაჟიორთა კონკურსი ტარდება ტესტირების ან/და გასაუბრების ფორმით. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავენ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 28. სტაჟირება

1. სტაჟირება მოიცავს ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლებას და ნოტარიუსთა პალატის დავალებების შესრულებას.

2. სტაჟირების ვადა ერთი წელია. ნოტარიუსთა პალატას სამინისტროსთან შეთანხმებით შეუძლია შეცვალოს სტაჟირების ვადა.

3. ნოტარიუსობის კანდიდატი ნოტარიუსის ხელმძღვანელობით მონაწილეობს სანოტარო მოქმედების შესრულებაში. მას უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი სახელით.

4. ნოტარიუსობის კანდიდატი სტაჟირების დასრულებისას ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების თაობაზე.

5. ნოტარიუსი, რომელიც ხელმძღვანელობს კანდიდატს, ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს დასკვნას კანდიდატის ნოტარიუსობისათვის შესაფერისობის შესახებ.

6. ნოტარიუსობის კანდიდატმა სტაჟირების პერიოდში შეიძლება მიიღოს ანაზღაურება. ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

მუხლი 29. სტაჟირების შეწყვეტა

სტაჟირებას წყვეტს იუსტიციის მინისტრი შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- ა) ნოტარიუსობის კანდიდატის პირადი განცხადებით;
- ბ) ნოტარიუსობის კანდიდატის ნოტარიუსობის თანამდებობისათვის შეუფერებლობის, აგრეთვე სტაჟირების პერიოდში მისთვის დაკისრებულ

მოვალეობათა სისტემატურად შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

თავი III ნოტარიუსთა პალატა

მუხლი 30. ნოტარიუსთა პალატა

1. ნოტარიუსთა პალატა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია ნოტარიუსთა წევრობაზე და თავის საქმიანობას ახორციელებს თვითმმართველობის პრინციპით.

2. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდებას იღებს ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 31. ნოტარიუსთა პალატის შემადგენლობა

1. ნოტარიუსთა პალატის შემადგენლობაში შედის ყველა ნოტარიუსი.

2. ნოტარიუსი ნოტარიუსთა პალატის წევრი ხდება თანამდებობის დაკავების დღიდან და მისი წევრობა წყდება ნოტარიუსის უფლებამოსილების შეწყვეტის დღეს.

მუხლი 32. საწევრო შენატანი

1. ნოტარიუსი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო შენატანი საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში.

2. საწევრო შენატანის ოდენობას, აგრეთვე საწევრო შენატანის გადახდის ვადას ადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 33. ნოტარიუსთა პალატის უფლებამოსილებანი

დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ნოტარიუსთა პალატა უფლებამოსილია:

ა) წარმოადგინოს ნოტარიუსი სახელმწიფო ორგანოში, მოქალაქეთა გაერთიანებაში, დაამყაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) იუსტიციის სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები ნოტარიუსთა პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით;

გ) მოითხოვოს ნოტარიუსებისაგან საჭირო ინფორმაცია და მოისმინოს მათი განმარტებები;

დ) დაადგინოს ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატისათვის;

ე) შექმნას ნოტარიუსთა პალატის აპარატი;

ვ) სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკის უნიფიკაციის მიზნით განაზოგადოს სანოტარო მოქმედებები;

ზ) ეწეოდეს კომერციულ საქმიანობას თავისი საწესდებო მიზნების შესასრულებლად;

თ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 34. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

1. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას იწვევენ წელიწადში ერთხელ.

2. ნოტარიუსთა პალატის წევრთა რიგგარეშე კრება მოიწვევა:

ა) ნოტარიუსთა პალატის გამგეობის ინიციატივით;

ბ) იუსტიციის მინისტრის წინადადებით;

გ) ნოტარიუსთა პალატის წევრების საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

3. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას იწვევს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა, რომელიც ორი კვირით ადრე აცნობებს პალატის წევრებს კრების ჩატარების დროს, ადგილს და დღის წესრიგს.

4. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად ან იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ამავე პალატის წევრია და რის შესახებაც მას აქვს სათანადო წერილობითი თანხმობა.

5. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. პალატის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 35. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების კომპეტენცია

1. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას შეუძლია დღის წესრიგში შეიტანოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც შედის ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციაში.

2. მხოლოდ ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

ა) ნოტარიუსთა პალატის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) ნოტარიუსთა პალატის წლიური ანგარიშის დამტკიცება;

გ) ნოტარიუსთა პალატისათვის ნოტარიუსების სავალდებულო გადასახადის ოდენობის დაწესება.

3. ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას უფლება აქვს ნოტარიუსთა პალატის გამგეობას, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დართოს ნება შეიტანოს ცვლილებები ნოტარიუსთა პალატის

ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ნოტარიუსთა პალატის წევრთა მომდევნო კრებას.

მუხლი 36. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის შემადგენლობა და სხდომა

1. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, 3 წლის ვადით ირჩევს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

2. თუ ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებამ ზედიზედ ორჯერ არ აირჩია იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი, ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება ორი კვირის ვადაში ირჩევს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს.

3. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესა და გამგეობის სამ წევრს 3 წლის ვადით ირჩევს ნოტარიუსთა საერთო კრება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

4. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის სხდომა ტარდება, როგორც წესი, თვეში ერთხელ. სხდომას იწვევს გამგეობის თავმჯდომარე.

მუხლი 37. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის კომპეტენცია

1. ნოტარიუსთა პალატის გამგეობა უზრუნველყოფს ნოტარიუსთა პალატის წესდების შესრულებას და ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებების განხორციელებას.

2. გამგეობა, პალატის წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში ასრულებს პალატის ყველა ამოცანას, გარდა ამ კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, ნოტარიუსთა პალატის სახელით კავშირი აქვს სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციებთან და მისივე სახელით წარადგენს წინადადებებსა და დასკვნებს.

3. გამგეობა უფლებამოსილია თავისი ამოცანების შესრულებისას მიიზიდოს ნოტარიუსთა პალატის წევრები და შექმნას ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატი;

4. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს, მოადგილეს, გამგეობის სხვა წევრებსა და თანამშრომლებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მონაცემები იმ სანოტარო მოქმედებათა შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებით. მათ უფლება აქვთ ასეთი მონაცემები ცნობილი გახადონ მხოლოდ ნოტარიუსთა პალატის გამგეობის ნებართვით. სანოტარო მოქმედების საიდუმლოება დაცულ უნდა იქნეს ამ პირთა გამგეობის შემადგენლობიდან გასვლის ან სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაშიც.

თავი IV
სანოტარო მოქმედება და მისი შესრულების
ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 38. სანოტარო მოქმედება

1. ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს;

ბ) გასცემს საკუთრების უფლებების მოწმობას ქონების ნაწილზე;

გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლებების მოწმობას;

დ) გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;

ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;

ვ) ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;

ზ) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;

თ) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;

ი) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

კ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

ლ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;

მ) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;

ნ) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს;

ო) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასეულობებს;

პ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს;

ჟ) ასრულებს თამასუქის პროტესტს;

რ) გასანადღებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნადღებლობას;

ს) შესანახად იღებს დოკუმენტებს;

ტ) აფიქსირებს მტკიცებულებებს;

უ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.

2. ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების გარდა, ნოტარიუსი ასრულებს აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სანოტარო მოქმედებებს.

3. სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს და მათი შუამდგომლობით ადგენს დოკუმენტების პროექტებს.

4. ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.

მუხლი 39. სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის უფლებამოსილება

ნოტარიუსი უფლებამოსილია უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადების, სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონული და/ან ქაღალდის ვერსიის სახით წარდგენა სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოებისათვის, თუ სანოტარო მომსახურების შედეგად დამოწმებული დოკუმენტი ექვემდებარება რეგისტრაციას.

მუხლი 40. აღსრულება სანოტარო დოკუმენტების საფუძველზე

1. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს სანოტარო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაცემას. კრედიტორის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს:

- ა) ნოტარიუსის ვინაობას, რომელსაც მიმართავს განცხადებით;
- ბ) მხარეების და მათი წარმომადგენლების დასახელებას;
- გ) მონაცემებს შეუსრულებელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების მოცულობის შესახებ;
- დ) მითითებას იმის შესახებ, რომ შეუსრულებელი მოთხოვნა, რომლის აღსასრულებლადაც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდან რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხორციელდა;
- ე) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

2. ამ მუხლით დადგენილი საფუძველების არსებობისას, ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე.

3. სააღსრულებო ფურცელის გაცემაზე ამ პუნქტით განსაზღვრული თანმიმდევრობის მიხედვით უფლებამოსილია:

- ა) ნოტარიუსი, რომელმაც სანოტარო წესით დაადასტურა გარიგება ან ამ ნოტარიუსის შემცველი პირი;
- ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნოტარიუსის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში – ნოტარიუსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნოტარიუსის სანოტარო არქივი;
- გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით სააღსრულებო ფურცლის გაცემის შეუძლებლობისას – ნებისმიერი სხვა ნოტარიუსი.

4. აღსრულება დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის დედნის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცლის დამოწმებულ ასლს (დუბლიკატს) გასცემს ნოტარიუსი ამ მუხლის მე-

3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი თანმიმდევრობით, ხოლო ამ წესით დუბლიკატის გაცემის შეუძლებლობისას – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

5. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას.

6. სააღსრულებო ფურცლის გაცემის დეტალური წესები დგინდება სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესების შესახებ ინსტრუქციით.

მუხლი 41. სანოტარო მოქმედებები, რომელთაც ასრულებს გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული

1. დასახლებულ პუნქტში, სადაც სანოტარო ბიურო არ არის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- ა) ადასტურებს ანდერძს;
- ბ) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
- გ) ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;
- დ) გადასცემს პირთა განცხადებებს და ცნობებს სხვა პირებს;
- ე) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- ვ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- ზ) შესანახად იღებს დოკუმენტებს;

თ) ადასტურებს მოქალაქის იდენტურობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;

ი) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს – გამგეობის (მერიის) რწმუნებულს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

3. საქართველოს კანონმდებლობით გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს – გამგეობის (მერიის) რწმუნებულს შეიძლება დაეკისროს სხვა ისეთი სანოტარო მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ამ კანონის 39-ე მუხლით და ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 42. სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებენ საკონსულო დაწესებულებებთან თანამდებობის პირები

სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა

თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულტაციო დაწესებულებების საქმიანობის მომწვესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. საკონსულტაციო დაწესებულებების უფლებამოსილ პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

მუხლი 43. თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძების და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს

1. ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:

ა) სააგადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ სააგადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავრი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ; ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსის ან მორიგე ექიმის მიერ;

ბ) საქართველოს აღმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ;

გ) სამძებრო-სადაზღვევო და სხვა მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ;

დ) სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო ბიურო და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონადერძე/მარწმუნებელი ჩვეულ საყოფაცხოვრებო პირობებში დაბრუნებისთანავე ანდერძს/რწმუნებულებას წარუდგინოს ნოტარიუსს, რომელიც უზრუნველყოფს მის დამოწმებას და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციას ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

მუხლი 44. სანოტარო მოქმედების ქვემდებარეობა და შესრულების ადგილი

სანოტარო მოქმედება შეიძლება პირის თხოვნით შეასრულოს ნებისმიერმა ნოტარიუსმა.

მუხლი 45. სანოტარო მოქმედების შესრულების ვადა

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 46. სანოტარო მოქმედების შესრულების გადადება და შეჩერება

1. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს:

ა) თუ გამოთხოვილია დამატებითი მონაცემები ან დოკუმენტები, მათ შემოსვლამდე;

ბ) თუ ტარდება ექსპერტიზა, ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე;

გ) დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედაგებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არა უმეტეს ათი დღის ვადით. თუ ნოტარიუსის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შეტანის შესახებ, ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას.

2. სანოტარო მოქმედების შესრულება ჩერდება სასამართლოს შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, სასამართლოში სამართლებრივი დავის გადაწყვეტამდე.

3. სანოტარო მოქმედების გადადების ან შეჩერებისას ნოტარიუსი არ გაცემს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან მოწმობას, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსი სანოტარო დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შემოწმებულია პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

მუხლი 47. სანოტარო მოქმედების შესრულების უფლების შეზღუდვა

1. ნოტარიუსს და პირს, რომელიც ამ კანონის 41-ე-43-ე მუხლების თანახმად ასრულებს სანოტარო მოქმედებებს, უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება, რომელშიც მონაწილეობს თვითონ ან თავისი მშობლები, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, პაპები, ბებიები, ძმები, დები, მეუღლის მშობლები

2. ნოტარიუსს უფლება არა აქვს დაადასტუროს გარიგება, რომელშიც მონაწილეობს საწარმო ან კომერციული გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია ნოტარიუსის მეუღლის, მშობლების ან შვილების კუთვნილ კაპიტალზე.

3. ამ მუხლის დარღვევით შესრულებული სანოტარო მოქმედება ბათილია.

მუხლი 48. პიროვნების ვინაობის, უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის დადგენა, წარმომადგენლის უფლებამოსილების შემოწმება და დოკუმენტების გამოთხოვა

1. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით დაადგენენ იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

2. კანონით დადგენილ შემთხვევაში ან მხარეთა შეთანხმებით, გარიგების დადასტურების დროს ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილე პირთა უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას.

3. თუ გარიგება სრულდება წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიუსი ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

4. ნოტარიუსს უფლება აქვს გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტები დაწესებულებისაგან, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან.

მუხლი 49. სანოტარო მოქმედების შინაარსი და შედეგების განმარტება

ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთან, ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს იმაზე, რომ არ შეიღახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას.

მუხლი 50. სანოტარო დოკუმენტების ხელმოწერის წესი

1. კანონით დადგენილ შემთხვევაში გარიგებას და სხვა დოკუმენტს ხელს აწერენ ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ნოტარიუსი არ დასწრებია, ხელმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

2. თუ სანოტარო დოკუმენტი შეიცავს სანოტარო მოქმედების მონაწილის ნების გამოვლენას, ნოტარიუსმა დოკუმენტის ხელმოწერამდე მას უნდა წაუკითხოს დოკუმენტის ტექსტი.

3. თუ პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯია, ნოტარიუსმა საჭიროების შემთხვევაში ამ პირისათვის სანოტარო მოქმედების შინაარსის და შედეგების გასაგებად უნდა ისარგებლოს შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით. სპეციალისტმა თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედების შინაარსი პირს განემარტა და მის ნებას შეესაბამება.

4. იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს დოკუმენტს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით, იმ მიზეზის აღნიშვნით, რის გამოც პირს არ შეუძლია დოკუმენტზე ხელის მოწერა.

5. პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, წერაკითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსი მოვალეა წაუკითხოს მას ტექსტი და ამის შესახებ სათანადო მითითება გააკეთოს დოკუმენტში.

მუხლი 51. სანოტარო მოქმედების რეგისტრაცია

1. ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ ნოტარიუსები და ამ კანონის 41-ე-43-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები, რეგისტრაციაში ტარდება ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

2. ყველა შესრულებულ სანოტარო მოქმედებას ეძლევა დამოუკიდებელი ნომერი, რომელიც აღნიშნული უნდა იქნეს გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

3. ნოტარიუსი ელექტრონული სანოტარო რეესტრიდან ამონაწერს გასცემს იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ვისი თხოვნითაც ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება.

მუხლი 52. უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე

1. ნოტარიუსი და ამ კანონის 41-ე-43-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები უარს ამბობენ სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე, თუ:

ა) სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს;

ბ) სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან შეიცავს პირთა პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

გ) სანოტარო მოქმედების მონაწილე არ არის უფლებაუნარიანი ან ქმედუნარიანი ან თხოვნა სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ

შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა.

2. ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და შედგენიდან არა უგვიანეს სამი დღისა გადაეცეს პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

3. ნოტარიუსი მოვალეა განუმარტოს პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა.

მუხლი 53. ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩივრება

1. პირს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება, ან პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, შეუძლია სანოტარო მოქმედება ან დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. საჩივარს ნოტარიუსის იმ საქმიანობაზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის პირველი პუნქტით, განიხილავს იუსტიციის სამინისტრო ან მისი დაავალებით ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 54. სანოტარო მოქმედების შესრულება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის

სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედების შესრულება იმავე წესით, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა.

მუხლი 55. ნოტარიუსის მიერ სხვა სახელმწიფოებში გაცემული დოკუმენტების მიღება

სხვა სახელმწიფოებში გაცემულ დოკუმენტებს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 56. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მოქმედება

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია საქართველოს მიერ, ან რომლებსაც იგი შეუერთდა, დადგენილია სანოტარო მოქმედებების შესრულების საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესი, ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით.

თავი V.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 57. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის მე-11 მუხლისა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ნოტარიუთა საკვალიფიკაციო გამოცდაში იგულისხმება გამოცდა, რომელიც ჩატარდება ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე თანამდებობაზე დანიშნული ნოტარიუსები და იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა პალატის წინადადებით ნოტარიუსის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირები ჩაითვლებიან ამ კანონით დადგენილი წესით ლიცენზირებულად და, მოთხოვნის შემთხვევაში, სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მათზე გაიცემა სანოტარო საქმიანობის ლიცენზია.

3. ნოტარიუსები და იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა პალატის წინადადებით ნოტარიუსის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში გადადგნენ თანამდებობიდან/გაუვიდათ ნოტარიუსის შემცვლელ პირად ყოფნის ვადა და არ არსებობს მათთვის სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, უფლებამოსილნი არიან ამ კანონის ამოქმედების შემდგომ განახორციელონ სანოტარო საქმიანობა სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის, სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის აღებისა და ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ნოტარიუსთა პალატასთან ერთად, 2010 წლის საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიისათვის უზრუნველყოს სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის გაანგარიშების ახალი მოდელის შემუშავება და „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების ამსახველი კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა.

5. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მუხლი 58. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.